ცვლილება N1

2015 წლის 29 იანვარს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის

შესახებე N‹-18 (CMR 150048784) ხელშეკრულებაზე

თბილისი 13.01.2016წ.

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, მისი უფროსის გიგა გაბელაიას სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს „მაგთიკომი“, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის აპარატის 2016 წლის 11 იანვრის N05/04 მოხსენებითი ბარათის, და ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ მიერ მობილური სატელეფონო მომსახურების შესყიდვის შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 29 იანვარს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N‹-18 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულების 5 700.00 (ხუთი ათას შვიდასი) ლარის ნაცვლად განისაზღვროს სახელშეკრულებო ღირებულება 6 270.00 (ექვსი ათას ორას სამოცდაათი) ლარი.

2. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის	შპს „მაგთიკომი“
ეროვნული ცენტრი“-ს	გენერალური დირექტორის მოადგილე
უფროსი გიგა გაბელაია	გია კოშორიძე